სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური

მ. ალექსიძის II შესახვევი, N2
0193 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220 (3335)
registration@mandaturi.gov.ge

10/12/2025

MES 3 25 0001763301

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში სამსახურის უფროსის 2025 წლის 16 ივნისის N4410 ბრძანების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს იურისტი - სოფიკო ბერიშვილი.

2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 8 განცხადება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შემოსული განცხადებები, უმეტესწილად, შეიცავდა საჯარო ინფორმაციის ერთზე მეტ, ხშირ შემთხვევაში კი – მრავალ მოთხოვნას.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში მოთხოვნა არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოსული 8 განცხადებიდან სრულად დაკმაყოფილდა ყველა მათგანი. ასევე, წარმოება დასრულდა წინა საანგარიშო წელს შემოსულ 2 განცხადებაზე.

სამსახურის სტრუქტურული ერთეულები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამსახურის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებდნენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას. სამსახურში დაცულია პერსონალური მონაცემები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (Eflow) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებლები უთითებენ მათ მიერ წარმოდგენილ განცხადებებში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების

უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას. საანგარიშო პერიოდში სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დაკისრების არც ერთი ფაქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ პუნქტის მოთხოვნასთან დაკავშირებით სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. მანდატურის სამსახურის მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა, აქედან გამომდინარე, მანდატურის სამსახურის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და არც გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები არ წარმოშობილა.

პატივისცემით,

სსიპ მანდატურის სამსახური
უფროსი
მაჭარაშვილი პავლე